ბანკის ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული "ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების" 1.4. პუნქტის შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ "ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში" (შემდგომში "სტანდარტული პირობები") შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. <u>შეიცვალოს სტანდარტული პირობები 1.1. პუნქტით განსაზღვრული „Digital Wallet"- ის განმარტება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   „Digital Wallet - პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ინახავს კლიენტის ბარათთან ასოცირებულ თოქენს და შესაძლებელს ხდის ანგარიშსწორება განხორციელდეს ელექტრონული კომერციით და/ან პოს ტერმინალით. Digital Wallet-ით განხორციელებულ ტრანზაქციებზე ვრცელდება ამ ხელშეკრულებით საბარათე ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული პირობები. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს საბარათე ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული პირობებისგან განსხვავებული წესი Digital Wallet-ით განხორციელებული ტრანზაქციების საკომისიოების შემთხვევაში. თუ რომელიმე შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ბარათით გადახდის შემთხვევაში დადგენილი ტარიფები, არ ვრცელდება Digital Wallet-ით (მეგობარი)/სხვა ბანკების ბარათებით ინიცირებულ გადახდებზე."

2. <u>დებულებების მე-2 მუხლს დაემატოს 2.7 პუნქტი შემდეგი რედაქციით:</u>

   „2.7 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის არ არის/იყო განსაზღვრული Digital Wallet-ით პარტნიორი (მეგობარი)/სხვა ბანკების ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციის საკომისიო, მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული შეადგენს სხვა (არაპარტნიორი) ქართული ბანკების ბარათებისთვის დადგენილ საკომისიოს ოდენობას."

3. **წინამდებარე დოკუმენტის 1-ლი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ცვლილებები ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებიდან 1 (ერთი) კალენდარულ თვეში.**